ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №57201

ნომერი: AR114223

თარიღი : 08.02.2012

გაცემის თარიღი : 22.02.2012

გაცნობის თარიღი : 24.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , (ნაკვეთი 03/019) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ორგანიზაცია:

- შპს "ჯეოსელი" კოდი: 203841940

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, (ნაკვეთი #03/019)/ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, შ.პ.ს. "ჯეოსელი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/020), არსებული შენობის ფასადზე მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებელით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ჯეოსელი"–ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ. #882011563139 25.11.11წ. საკ. კოდი #01.10.13.003.020; არსებული სიტუაციის ფოტოსურათები; ფოტომონტაჟი; შ.პ.ს. "ჯეოსელი"–ს გენერალური დირექტორის მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, (ნაკვეთი #03/019)/ქ. თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, შ.პ.ს. "ჯეოსელი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/020), არსებული შენობის ფასადზე მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge